

## სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების დებულება

### მუხლი 1. მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარების კომისია

1. სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენასა და შესაბამისი კრედიტების აღიარებას უზრუნველყოფს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების კომისია (შემდეგში კომისია).
3. კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს წინამდებარე დებულების, უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
4. კომისიას ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. კომისიის შემადგენლობაში შედიან იმ საგნების კურატორები, რომელთა კრედიტების აღიარების საკითხიც განიხილება.

### მუხლი 2. ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა

1. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.
2. კომისია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშებს სტუდენტის დატვირთვას კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.
3. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საიდანაც გადმოდის სტუდენტი იყენებს კრედიტების მინიჭების ECTS-გან განსხვავებულ სისტემას, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც განმარტებული იქნება ამ სისტემის ECTS სისტემასთან შესაბამისობა ან ინფორმაცია თითოეული სასწავლო კურსის მოცულობის შესახებ, გაანგარიშებული დროით ერთეულში (კვირა, საათი).

### მუხლი 3. სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების წესი

1. საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარება რეგულირდება „უმაღლესი განალების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. აღიარებას ექვემდებარება უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.

4. საქართველოს უნივერსიტეტი აღიარებს სხვა საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის ფარგლებში დაგროვილ კრედიტებს. არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების აღიარება დაუშვებელია პროფესიული განათლების IV და V საფეხურების ფარგლებში.

5. სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა დგინდება სტუდენტის მიერ ჩაბარებული კომპონენტების სილაბუსების (სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების) ანალიზის საფუძველზე ან/და გამოცდის საფუძველზე.

6. კომისია უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს გამოცდის ჩაბარება, თუ სილაბუსის ანალიზის საფუძველზე ვერ დგინდება სწავლის შედეგების თავსებადობა.

7. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს რექტორთან კანონდებლობით გათვალისწინებული წესით.

8. კრედიტების აღიარებაზე გადაწყვეტილება მიიღება სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის მიზნების და შედეგების ანალიზის საფუძველზე.

9. ხუთ ბალანი შეფასების ან დიფერენცირებული ჩათვლის შემთხვევაში კომისია ხელმძღვანელობს საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების შესაბამისად.

10. თუ სტუდენტის მიერ ვერ ხერხდება სილაბუსის წარმოდგენა, მისი თანხმობის შემთხვევაში, მას დაენიშნება გამოცდა შესაბამისი საგნის კრედიტების აღიარების მიზნით.

11. გამოცდის თემატიკა განისაზღვრება იმ სკოლის მიერ, რომელ სკოლასაც ეკუთვნის შესაბამისი საგანი.

12. გამოცდის ტიპი (წერიტი/ზეპირი) განისაზღვრება კრედიტების აღიარების კომისიის მიერ შესაბამისი საგნის კურატორებთან შეთანხმებით. ზეპირი გამოცდის შემთხვევაში - ადმინისტრირებას ახორციელებს შესაბამისი სკოლა, ხოლო წერიტი გამოცდის შემთხვევაში - ადმინისტრირებას ახორციელებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

13. გამოცდ(ებ)ის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 1 კვირას.

#### მუხლი 4. გარდამავალი დებულებები

ძალადაკარგულად გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 25 ივნისის 23/12 ოქმით დამტკიცებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების დებულება.